ხელშეკრულება N121

ქ. ყვარელი 25 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, **ზაზა ზაუტაშვილი** (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს ნება დირექტორი **მერაბ კაჭკაჭაშვილი** (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ნებართვის **SMP200005501** საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით (გადაუდებელი აუცილებლობით) თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი შეისყიდის მიმწოდებლისგან ცხრილში მოცემულ საკვებ პროდუქტებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის.

CPV	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი
• 15625000	მანანის ბურღული	1598 კგ	2,80	4474,40

2. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

2.2 საქონლის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართებზე .

2.3 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

2.4 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის ვადაში

3. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად ფაქტიურად მიწოდებული საქონლის საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

3.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

4.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიმწოდებლის მხრიდან ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ– ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

5. ფასები

5.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4474,40 (ოთხიათასოთხასსამოცდათოთხეტი ლარი და 40 თეთრი)** ლარს.

5.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

5.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში,შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. გადასახადები და დაბეგვრა

9.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე .

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
`ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	**შპს ნება**
ტელ: (352) 22-02-41	593959632
მისამართი: ქ. ყვარელი კუდიგორის ქ № 2	დ. აბასთუმანი შ. რუსთაველის №64
საბანკო რეკვიზიტები:	
ს.ს. „ლიბერთი“ ბანკი	ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი – LBRTGE22	BAGAGE22
	GE52BG0000000767382200
საიდენტიფიკაციო კოდი - 241579957	422722575

Union of Kvareli Preschool Institutions

Digitally signed by Union of Kvareli Preschool Institutions
Date: 2020.12.25 14:59:51 +04'00'

Merab Kachkachashvili

Digitally signed by Merab Kachkachashvili
Date: 2020.12.25 16:03:40 +04'00'